საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12753/01
09/12/2021

12753-01-2-202112091425

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“
მის: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 74 ბ.
ელ. ფოსტა: office@wissol.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 სექტემბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N16669 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 25 ნოემბრის N16-01213291340 წერილის თანახმად, №01.19.26.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი ზონირების რუკით ვრცელდება სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდვის ზონები.

შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას. გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში სამინისტროში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის N16-01213291340 წერილს და თანდართულ დოკუმენტაციას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე